

მ წ ყ ე მ ს ი

ო რ - კ ვ ი რ ა მ უ ლ ი ზ ა მ ო მ ც ე მ ა ბ . ო ზ ი ო ც ი ა ლ უ ზ ო რ ი ნ ა წ ი ლ ი .

საქართველოს სამხარისოს სამოქალაქო სამართლებრივ საკანონმდებლო მოქმედებას.

(ზიგისის სასულიერო სემინარიის საქმე-
მოქმედება, „მოძიების“ თავს-მჯდომარე სემინარიის
რექტორმა, დეკანოზმა მ. შავლე ჩუდუკიძემ წარ-
მოადგინა ჩემთან ანგარიში, «მოძიების» ათას
რუბლს ოთხმოცდა სამის და ოთხის წლების
მისის პირველადი ათას რუბლს ოთხმოცდა ხუ-
თის წლისა. სასამართლო არის განხილვა ამ
ანგარიშისა, როდესაც ეხება, რომ მთელი სა-
ესკარხოსოს სასულიერო წოდება იღებს მო-
წოდებებს სემინარიის დარიბ შვირების
დახმარებაში თავიანთი შეწირულებით. მადლო-
ბელი ვარ ეკლესიების გრებულთა ყველა წე-
რებისა, რომელთაც სხვა შემწირველ პირებთან
ერთად შემოსწირეს, „მოძიების“ შეძლებისა და გვა-
რად. მადლობელი ვარ მამა ბლადოჩინისა,
რომელთაც ბუჯითობა გამოიჩინეს ამ კეთილს
საქმეში; განსაკუთრებით მადლობას უცხადებ
გვალთის წ. ბარბარეს ეკლესიის მღვდელს მ.
ხუსკვაძეს (იმერელთაგანის), რომელმაც შესწი-
რა „მოძიების“ სასარგებლოდ ასი მანეთი და დაბა
ყვირის ეკლესიის მღვდელს მ. ბლადოჩინს
დ. დამაშაძეს, რომელმაც მისგან გამოცემული
გაზეთის «მწეშის» საშუალებით ადმოიწინა
შემწეობა „მოძიების“ კეთილ-მნებელობითი ფუფე-
ბის შეწირვაში და უსასყიდლოდ დაბეჭდა „მო-
ძიების“ ანგარიში ცალკე წიგნებათ. როგორც
სწინა, ამ საზოგადო შემწირულებებით ამ საანგარი-
შო წლებში, როგორც წინეთ, სემინარიის მრავალ
დარიბ მოწაფეთ მიეცათ ნივთიერი შემწეობა და
მრავალი მათგანი ამ შემწეობის საშუალებით
დარჩენილა სემინარიაში და გაუგრძელათ სწავ-
ლა.

ახალი სასწავლო წელიწადიც ძლიერ საჭი-
როებს ამისთანა დახმარებას და შემწეობას. სა-
მაო არის შევატუბინოთ სამღვდლოებას, რომ
მოწაფეთ რიცხვი სემინარიაში ყოველ წლობით
მატულობს. იმ უწყებისაგან, რომელიც მე მაქვს
დღეს, სწინა რომ 1882 წელში, ივნისის თვეში,
ეგზამენების დროს იყო ას სამოცი შვირდი;
ამავე დროს 1883 წელში იყო სემინარიაში
ას სამოცდა ჩვიდმეტი მოწაფე; 1884 წელში
იყო ას ოთხმოცდა ექვსი და ესლა არის სემი-
ნარიაში 236 მოწაფე.

ამისთვის მე მივიტყვი მ.მ. დეკანოზთა,
მღვდელთა და ყველა ეკლესიების გრებულის
წევრთა საქართველოს საეკლესიოსისა თხოვ-
ნით, რათა მათ არ მოაგლონ თავისი მხრით,
შეძლებისა და გვარად, შემწირულება სემინარიის
დარიბ შვირდთ სასარგებლოდ შემდეგ დროშიაც
და მასთანვე შეგანონ და წააქეზონ სასულიერო
განათლების მოსერნე სხვა პირნიც, რომ მათაც
მიიღონ მონაწილეობა ამ კეთილ საქმეში.

შემწირულებანი წინანდელად გამოიგზავნებიან
„მოძიების“ გამცე კომიტეტის თავს-მჯდომარის,
სემინარიის რექტორის დეკანოზის მ. შავლე
ჩუდუკის სახელზე.

შავლე არქივისკომისიის საქართველოს.

მართლ-მადიდებელი სასულიერო სასწავლო-
ლამის წამდამდამ.

(დასასრული)

§ 86. ზისაღები და წლიური ეგზამენები სწარ-
მოებენ სამმართველოსგან მასწავლებლების დაწ-
კებით.

§ 87. მოსწავლენი, რომელთაც გაათავეს სწავ-
ლის სრული კურსი და აგრეთვე რომელნიც ითხო-

ეგვიან კურსის შესრულებამდი, იღებენ მათ ცოდნათა და ყოფაქცევის შესაფერ მოწოდებებს, სასწავლებლის სამმართველოს ხელ-მოწერით და სასწავლებლის ბეჭედის დასმით.

§ 88. მითითებულ სასწავლებელში დაწესებულია წიგნთ-საცავი, რომელიც შესდგება მასწავლებლებისთვის საჭირო წიგნებისგან, სახელმძღვანელო და ყმაწვილთათვის საკითხავი წიგნებისგან და აგრეთვე მოწყობილია საკმაო რიცხვით სასწავლო საშუალებათა, მაგალითებრი: დედანთა, გეოგრაფიულ რუკათა, გლობუსთა ან ლექსიკონთა.

§ 89. წიგნთ საცავს, ყველა მისი კუთვნილებებით, მართავს ზედამხედველი, თანახმად წესდებთა, რომელთაც ადგენს სასწავლებლის სამმართველო.

თავი XII.—ხეობით და ფეოდალურ აღზრდაზე სასწავლებლებში.

§ 90. ხეობით აღზრდას სასწავლებლებში მიზნად აქვს დაედოს მეგარი საფუძველი მოსწავლეთა რელიგიურ-ხეობით განათლებას.

§ 91. ამ მიზნის მიღწევას უნდა ეხმარებოდნენ ყველა სასწავლებელში მოსამსახურე პირები, უმახლობელისა—ზედამხედველი და მისი თანამეწყე.

§ 92. ძველა მოსამსახურე პირნი სასწავლებელში უნდა აძლევდნენ მოსწავლეთ უმანკო ცხოვრების და ქრისტიანულ მოვალეობათა მტკიცედ ასრულების მაგალითს.

§ 93. სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეთ უპირატესად უნდა ასწავლიდნენ გამოუშვებლად და მტკიცედ აღსრულებას ქრისტიანულ მოვალეობათა, რისგამოც ყველა ვარჯისნი, რომლებიც იწვევენ კეთილ-მსახურებისადმი, უნდა მტკიცედ დაცულ და შენახულ იყვნენ სასწავლებლებში.

§ 94. მოსწავლეები ყოველ ღლე ისმენენ დადებულ ლოცვებს: დილით და საღამოთ, წინ და შემდეგ ტრაფეზისა, თითოეული გაცვეთილის დასაწყისს და ბოლოს კლასში.

§ 95. ძვირა და ღვთისაწაულ ღლეებში მოსწავლეები გამოუშვებლად უნდა ესწრებოდნენ საღამოს, დილის ღვთის-მსახურებას, ლიტურგიას და მონაწილეობას იღებდნენ კითხვაში და გალობაში ხორაზე (хлросе).

§ 96. პირველ და უკანასკნელ დიდ-მარხვის კვირაში ყველა მოსწავლეები მარხულობენ და ზიარობენ წმ. საიდუმლოთა.

შენი შგნა. დიდ-მარხვის უკანასკნელ კვირაში მოსწავლეები შეიძლება დათხოვნილ იქმნენ თავიანთი მშობლების და ნათესავების სახლებში; ამიტომ ზრუნვა მათ მარხულობაზე ამ დროს ვალად სძევს ამ უკანასკნელთ.

§ 97. რელიგიურ-ხეობითი აღზრდის უმაღლეს მიზნად უნდა იყოს ის, რომ ქრისტიანულ მოვალეობათა აღსრულება შეეძქნეს მოსწავლეების გულის ქმშარიტ მოთხოვნილებად.

§ 98. სასწავლებლის სამმართველომ უნდა განსაზღვროს მოსწავლეთათვის ფიცხელი წესი მეცადინეობაში და ცხოვრებაში, და განუდრეკლად თვალ-ყური ადევნოს მის ასრულებას.

§ 99. მოსწავლეებს უნდა შთაგონებული ექმნეს გარეგანი ზრდილობის, თავიზიანობის, დამზოგველობის და სისუფთავის წესები, და სხვა ამ გვარი კეთილი ჩვეულებები.

§ 100. თუ ვინცაა რაიმე დაუდევნელობით, ცელკობა ან დანაშაულობა ჩაიდინეს მოსწავლეებმა, ენიშნებათ მათ გასასწორებელი დასჯანი, რომელნიც უნდა არჩეულ იქმნენ ფიცხელი გამრჩველობით მათის გვარის და თვისების შესახებ და შეთანხმებულინ გასასწორებლების წლივანებასთან და ხასიათთან; ყოველ შემთხვევაში ისინი არ უნდა იქმნენ ტლანკი, დამამდაბლებელნი და სასტიკნი.

§ 101. ხმარებული გასასწორებელი ზომების გამოუდევარობის დროს, ზედამხედველი მიმართავს მშობლების დახმარებას, ატყობინებს რა ამაზე სამართელოს.

§ 102. სასწავლო მეცადინეობათაგან თავისა უფალ დროს მოსწავლეები ხმარობენ დასაცვენებლად, სასიეროდ, სათამაშოდ და ვარჯიშობაებისთვის, რომლებიც ეწვეიან სხეულის ძალების გახსნას და გამაგრებას.

თავი XIII.—საწავლებლის მოსწავლეთა სავდამოზე და შენახვაზე.

§ 103. მოსწავლეები ღდანან ან სასწავლებელთან, ან ნათესავებთან, ან ნაქირავებ ბინებში.

§ 104. საზოგადო ბინები წესდებიან, სასწავლებლის შესანახავ საშუალებათა მიხედვით, სასწავლებლის სახლებში, ან ნაქირავებ სადგომებში.

§ 105. აღდილობრივი სამღვდლოების ობლები და აგრეთვე ღარიბი მღვდელ და ეკკლესიის მსახურთ შვილები, თუ კარგ წარმატებას იჩენენ მეცნიერებაში და კარგი ყოფაქცევის ღრიან, იღუ-

ბიან საზოგადო ბინაში (общези́те), ეპარქიის არქიერის ნებართვით, გარდასახადის შემოუტანელად თავის ბინის და შენახვისთვის, ან შემეკირებული გადასახადის შემოტანით. თუ სასწავლებელთან არ არის დაწესებული საზოგადო ბინა, მაშინ აღნიშნულ მღვდელ და ეკკლესიის მსახურთ შეიღებს, მათ საჭიროებების სასწავლებლის საშუალების მიხედვით, ენიშნებათ ფულით შემწეობანი.

შენი შგ ნა. სასწავლებლებში საზოგადო ბინები უნდა განეკუთვნებოდეს აღსასრულებლად სამეურნეო ნაწილის შესახებ, სამღვდლოების საოლქო შეკრებანი ირჩევენ იკონომოსის საყარსი დამაგრიოთ.

§ 106. სხვა მოსწავლეები იღებიან საზოგადო ბინებში, გადაკეთილი გარდასახადის შეტანით ბინის და შენახვისათვის, და შედიან საზოგადო ბინებში ან პანსიონატებში, რომლებიც სარგებლობენ სასწავლებელში მთელი ხარჯით, ან ნაწილობრივ, რომლებიც მთელი ხარჯიდან არ იღებენ მხოლოდ ტანსაცმლის და ფეხთ-საცმელს.

§ 107. გარდასახადი პანსიონატების და ნახევარ პანსიონატებისათვის ინიშნება, სასწავლებლის სამმართველოს შეთანხმებისამებრ ოლქის სამღვდლოებასთან, ეპარქიის არქიერის დამტკიცებით, და შეიტანება წლის შესამედ-შესამედობით, პირველი სამეამდლო თვის პირველი ნახევრის განმავლობაში.

§ 108. საკლასე ოთახები და საცხოვრებელი ბინები მოსწავლეთა, დამტენლობით, უნდა უფრიდენ მათში დანიშნულ მოსწავლეთა რიცხვს.

§ 109. პეკლა სამოსწავლო ბინებს სასწავლებლებში რაც შეიძლება ხშირად უნდა უტყვიდენ ჰაერს, ჯეროვნად აბობდენ და ანათებდენ.

§ 110. სიწმინდე და სისუფთე სამოსწავლო ბინების შენახვაში და აგრეთვე ყველა ნივთთა, რომლებიც კი სამხარ არიან მოსწავლეთათვის, უნდა დაცული იყოს სრულის სიმკაცრით.

§ 111. საკმელი ეძლევათ მოსწავლეთ უბრალო, მაგრამ ახალი სამზღისაგან და საქმაოდ საუზმეზე, სადილზე და ვახშამზე.

§ 112. ტანსაცმლის აცვით მოსწავლეთ საკადრისი და წლის დროთა შესაფერი. ამ წესს ემორჩილება ყველა მოსწავლე მოსწავლენიც.

§ 113. ნივთების რიცხვი, რომლებიც ეძლევათ საზოგადო ბინებში მცხოვრებ მოსწავლეთ, ტანისდა მოსიდან, ფეხთ-საცმელიდან და სარკებიდან, და მათი ხმარების ვადები ისაზღვრებიან, ეპარქიის არ-

ქიერის დამტკიცებით, სამმართველოს შეთანხმებისამებრ ოლქის სამღვდლოებასთან.

§ 114. §§ 108, 109 და 110 განმარტებული წესდებანი გრცელდებიან მოსწავლეთა ნაქირავებ სადგომებზედაც.

§ 115. ეს სადგომები უნდა დაქირავებულ იქმნენ რაც შეიძლება ახლოს სასწავლებელთან, მეოჯახე მცხოვრებთაგან კარგის სახელით, უმეტესად სამღვდლოთაგან.

§ 116. სასწავლებლის მთავრობა, თვალყურს ადევნებს რა მოსწავლეთ ცხოვრებას თავისუფლად ნაქირავებ სადგომებში, აქცევს ამათანავე მუდმივს ყურადღებას კეთილ-სარწმუნოებას, ზნეობითი მხრით, სადგომების გამქირავებელ პირთა და სხვა მათთან მცხოვრებთა.

§ 117. თუ ვინიკობა ექვია ამ პირთ კეთილ-სარწმუნოებაში, სასწავლებლების მთავრობა შეუძლია მოითხოვოს მშობლებიდან დაუფინანსებელი გადაყვანა მათი შვილების სხვა სადგომში, და საზოგადოთ უჩვენოს მშობლებს კაცები, რომელთაც სასწავლებლის სამმართველო იცნავს.

§ 118. ავთომყოფი მოსწავლეებისათვის სამმართველო აშენებს საავთომყოფოს, შეიძლება ამებრ, ცალკე საცხოვრებელ სამოსწავლო ბინებზედაც. — რა ზომისაც შესაძლებელია სასწავლებლის საშვალებათათვის, საავთომყოფოს აშენების შეუძლებლობის დროს სამმართველო ზრუნავს და ხმარობს ყველა ზომებს, რათა ავთომყოფი მოსწავლეები არ დარჩნენ მოუფლელად და ჯეროვანი შემწეობის აღმოუჩენელად.

თავი XIV. სასულიერო სასწავლებლების უფლებებზე და უფლებამოსებზე.

§ 119. სასულიერო სასწავლებლებს აქვს თავისი ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოხატულებით და ზედ წარწერილობით: «ამა და ამ სასწავლებლის სამმართველოს ბეჭედი». იგი იწახება ზედამხედველთან.

§ 120. სასწავლებლები თავისუფალი არიან სასწერის ბუკისაგან მათი საქმეების შესახებ გასაგზავნი და მათ ბეჭედ დასმული ქაღალდებისა და ნივთებისათვის, როდესაც უკანასკნელი ერთ ფუთზე მეტს არ იწონიან.

§ 121. სასწავლებლები თავისუფალი არიან ღერბის, საყმის (книжный) და სხვა ბუკების გადახდისგან მათ (სასწავლებლების) სახელზე შესა-

ლებული საბუთების შესახებ და საზოგადოდ შესახებ ყველა საქმედა, რომელიც მათ ეკუთვნის.

§ 122. სასწავლებლის სახელები თავისუფალი არიან სასაღამო ვალდებულობისგან, როგორც მმართველობის დანიშნით მოხელეთა დაყენებით (постоемъ), აგრეთვე ფულით და ამასთანავე ფულის მოკრებისგანაც ქალაქის სასარგებლოდ. წესი ესე ერთდღების სასწავლებელთ საკუთარს იმ შენობებზე, რომელსაც მოაქვს შემოსავალი მათი გაჭირავებით.

§ 123. სასულიერო სასწავლებლებში მოსამსახურე პირთ უფლებანი ისაზღვრებიან განსაკუთრებით განჩინებით.

§ 124. მოსწავლეები, რომელთაც დასარულეს კურსი სასულიერო სასწავლებელში და რომლებიც არ შევიდნენ სწავლის გასაგრძელებად სემინარიში, თუ ეპონიკობაშვიდნენ სამოქალაქო სამსახურში, თუ აქვსთ ამის უფლება შთამომავლობით, არ გამოიცდებიან პირველი საკლასე ჩინის მიღებისათვის (კრე. კან. ტ. III წესდებ. მოსას. მართებლად. მუხ. 311 და 317, გამოც. 1876 წ.).

სია სასწავლო საგანთა სასწავლებლისათვის, ჩვენებითურთ გაკეთილების რიცხვისა თითოეულ მათგანზე (დამატება სასულიერო სასწავლებლების წესდებულების § 80.)

საგნების დასახელება:

გავეთხო. რიცხვი
ელასებში.

I II III IV.

ძველი აღთქმის საღმ. ისტორია.	3	—	—	—
ახალი აღთქმის საღმ. ისტორია.	—	3	—	—
ძატეხიზმო	—	—	—	3
ძატეხისმოს დასრულება ღ ღეთის მსახურება საეკ. წოდებულებით	—	—	—	3

	I	II	III	IV	
რუსული ენა საეკ. სლავე. თურთ	10	3	3	3	19
ბერძნული ენა	—	5	5	6	16
ლათინური ენა	—	5	6	5	16
არითმეტიკა	4	3	2	2	11
გეოგრაფია	—	—	3	3	6
საეკლესიო გალობა	4	2	1	1	8
წერა	2	2	—	—	4

23 23 23 23

ნამდვილზე ხელს აწერენ: ეფუძიდე სინოდის წევრნი.

შეწირულებანი.

თბილისის სემინარიის ღარიბ მოწაფეთა დამხმარე ძმობის სასარგებლოდ ამ წელში ბლალაოჩინის მღვდლის ზიორგი ბერიძის საბლალაოჩინოში შეიკრიბა ოცდა ჩვიდმეტი მანეთი შემდეგ პირთაგან:

ზღვდლის გიორგი შალამპერიძისაგან	1	მან.
— მარკო შალამპერიძისაგან	1	—
— თეოფანე ბერიძისაგან	1	—
— ბესარიონ კერუსაგან	1	—
— მანასე ანდუფარიძისაგან	1	—
— ნიკოლოზ ჰიმისტარიშვილისაგან	1	—
— ივანე რურუსაგან	1	—
— დავით გუგუშაგან	1	—
— ისიდორე ასათიანისაგან	1	—
— ტომოთე ურდანიასაგან	1	—
— გიორგი გამახონისაგან	1	—
— ანტონ ოდიშარიასაგან	1	—
— ანტონ რევიასაგან	1	—
— გიორგი სილაგაძისაგან	1	—
— ოქროპირ შამაჩიასაგან	1	—
— ნიკოლოზ გამახონისაგან	1	—
— ანტონ ჩინლაძისაგან	1	—
— ვასილი გვიგუშაგან	1	—
— ნიკოლ. ჰიმისტარიშვილი	1	—
— ნიკოლოზ მანიაგასაგან	1	—
— გაბრიელ ჯიშკარიანისაგან	1	—
— დიუკა ურდანიასაგან	1	—
— ანდრია ჭალაგანიძისაგან	1	—
— გრიგოლ ანდლასაგან	1	—
— პორფირე ოსიძისაგან	1	—
— ნიკოლოზ ჩინლაძისაგან	1	—
— ივანე კუხალაშვილისაგან	1	—
— ნესტორ ჩინლაძისაგან	1	—
— ანტონ ჩინლაძისაგან	1	—
— ვასილ ჩინლაძისაგან	1	—
— ეგნატე სურცილავასაგან	1	—
— ნიკოლოზ კინცურაშვილისაგან	1	—
— სიმონ ჯიშკარიანისაგან	1	—
— ივანე კინცურაშვილისაგან	1	—
— ივანე ჩაგნავასაგან	1	—
— გერასიმე ჩინლაძისაგან	1	—
— ანტონ მაგელაძისაგან	1	—

და სრულიად 37 მან.

ეს ფულები წარმოდგინდა რედაქციაში და რედაქციისაგან მიტეულია დანიშნულებისა მებრ.

მეცემსი

№ 20.

მრ.-პირიუმი გამოსვამა. არა მფიციალური ნაწილი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად—
ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მეცემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა
შეიძლება რედაქციას ამ აღრესით: *Въ мѣстечкѣ Кіурилы,*
Въ редакціи „Мѣсѣси“ (Пастырѣ).

რედაქცია იმყოფება დაბა შოარაზანში რედაქტორის საყუ-
არს სანაღში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქ-
ციაში იქმნებიან გამოგზავნილი დასაბეჭდად, უფოდ ვრცელად
და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპრობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად
ჩათვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.
ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კო-
რესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოვლებით და შესწო-
რებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც
არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს
მათის ხარფით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენა-
ზედ დაწერილინი მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

დაპარგული ძმების შესახებ.

ქალსეთს დიდი ხანია შეუერთდა საქართველო, მაგ-
რამ საქართველოს ხალხთან ერთად ამ ბოლოს ხანებ-
ში, ნებით თუ უნებურად, შეუერთდა და დემოკრატიული
რუსეთის მთელი კავკასიის სხვა-და-სხვა თემებიც.
ეს თემები ყველა მართლ-მადიდებელი სარწმუნოე-
ბის არ არიან. ზოგი მათგანი აღიარებს მაჰმადის
სარწმუნოებას და ზოგად ნახევრ კერპთ-თაყვანის
მცემელთაც. რუსეთის მართებლობამ შემოსვლისა
თანვე კავკასიის მხარეში მიაქცია განსაკუთრებით
ყურადღება მართლ-მადიდებელი ქრისტიანული სარწ-
მუნოების გაერცელებას იმისთანა ადგილებში, სადაც
ძველად ქრისტიანობა ყოფილა, მაგრამ დროთა
გითარებისაგან ხალხი გათათრებული და მათში სწავ-
ლა-მეცნიერება დაზოგბოდა. ამ ზემოთ ნათქვამი
კეთილის მიზნის აღსასრულებლად რუსის მართებ-
ლობისაგან, როგორც ვიცით, იყო დაარსებული
საზოგადოება მართლ-მადიდებელი ქრისტიანობის
სწავლის აღდგინებისა მთიულ ხალხთა შორის. ოცდა
ხუთი წელიწადი გადის აგერ, რაც ეს საზოგადოება,
შეძლებისა და გვარად, შრომობს და ზრუნავს ქრი-

ტიანობის აღდგინებაზე და გაერცელებაზე აფხაზეთ-
ში, სვანეთში, ოსეთში, შშაგ-ნეესურეთში და სა-
ინგილოში. ეს საზოგადოება ცდილობს ძრისტეს
სწავლა გაერცელოს იმისთანა ადგილებშიც, სა-
დაც სრულებითაც ქრისტიანობა არ ყოფილა წინად.

დროთა გითარებისა გამო დიდი ხნიდან არიან
ჩვენგან დაკარგულნი ჩვენი ღვიძლი ძმები—ქართ-
ველები: აჭარლები, კობულეთელები, ისაგანში
მცხოვრებნი, ტყვეთ ყუჩაბილნი ძველ დროიდან
და სხვანი. დატრიალდა დრო, მოიხვედ წმერთმა და
ეს დაკარგული ძმები, ზოგიერთებს გარდა, შეგვიერთ-
დნენ. ღღეს ჩვენი, ძველის დროიდან დაშორებულნი,
ერთი ერთმანეთში მივიღო-მოვდივართ და ალგბ-
მიმეცემლობთ. მაცხოვარი ბრძანებს: *«გათავ ჯგოფთ
თქვენ? გაცსა თუ ვისჲ ვეღას ასი ცხოვარი, ჰ შესცთეს
ერთი მათგანი, არამედ დაუტყუენსა ოთხმოცდა-თხტბრა-
მეტნი იგი მათთა ზედა, ჰ წარვიდეს ჰ მოაიბოს ზეც-
თოშიად იგი? ჰ რა ყამს ჯგოფს იგი, ამინ გეტყუეთ თქვენ,
უფროს უხარადეს მის ზედა, ვიდრე ოთხმოცდა-თხტბრა-
მეტთა მათ, რომელნი არა შეცთომაოდ იყვნეს. ესრეთ
არს ნება მამისა თქვენისა ზეცათას, რათა არა წარსწუმ-
დეს ერთი მღერეთა მათგანი.»* (მათ. 18. 12—14).

შველზე ნამეტანი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ამ დაკარგული ძმების მოპოებაზე. ქრისტიანული სარწმუნოების გამაერთიანებელ საზოგადოებას დაარსების დროს სრულებით არ ჰქონებია სახეში იმ მხარის ქართველები, რომელნიც ჩვენ ზემოთ მოვიხსენიეთ. ამ საზოგადოების დაარსების დროს მოუხერხებელიც იყო ზრუნვა ამ ჩვენ მოძმე ხალხში ქრისტიანობის გავრცელებაზე, მაგრამ დღეს სულ სხვა დრო არის. დღეს მიუცილებლად საჭიროა გაგზავნა აქა-იქ ამ მხარეში კარგი ნასწავლი და გამოცდილი ქართველი მღვდლებისა. არაერთი საშუალება არ მოიძიება ამ აღვილებში მღვდლების ჯამაგირისათვის; მხოლოდ ერთი ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოებას შეუძლია დაიწმინდოს მღვდლები ამ ახალ შეძენილ ალაგებში და ჯამაგირიც დაუნიშნოს მათ ისე, როგორც დღეს აძლევენ ჯამაგირებს აუზანეთის, სევანეთის და სხვა ამისთანა მხარის მისიონერ მღვდლებს. შეტყობილია, რომ ამ მხარეებში დაიარებიან პროტესტანტების და შრანგების სარწმუნოების მღვდლები და უქადაგებენ ამ ხალხთ თავიანთ სწავლა-მოძღვრებას. ამიტომ ამ კითხვის დაკმაყოფილება არ იქმნება დაყოვნებას და სრული იმედო არის, რომ ძველსაში მართლ-მადიდებელი სარწმუნოების აღმადგენელი საზოგადოება მიჰქცევს ჯეროვან ყურადღებას და ეცდება, რომ ეს დიდი ხნიდან დაკარგულნი ცხოვარნი მონახოს და შეუერთოს თავიანთ მოძმე მართლ-მადიდებელ ხალხს. საჭიროა მართლმადიდებელი მღვდლები გაგზავნა მისთვის, რომ მათ იქიან ქართული და ამიტომ საადვილოა სწავლის გავრცელება ამ ხალხში მართლმადიდებელ ენაზე. მსგებში ძლიერ მძიმედ მიდიოდა ქრისტიანობის გავრცელების საქმე, ვიდრე მდის. მსგებთან არ გამოზარდეს და არ გაუგზავნეს მღვდლად. როდესაც მივიდნენ მღვდლებად ისევე მსგებთან, მაშინ მსწავლელ იყო ქრისტიანობამ გავრცელება მსგებში. ბევრ საჭიროა, საზოგადოება ეცადოს და გამოზარდოს სემინარიები სასულიერო ხარჯით რამდენიმე აჭარლერი, და ქობულეთის, რომელნიც ერთი ასად უფრო მეტ ნაყოფს მოუტანენ თავიანთ მოძმე ხალხს. იმედია, რომ საქართველოს საზოგადოება გამოიღებს ხმას და აღმოუჩენს ზემოხსენებულ საზოგადოებას შემწეობას ფულით დიდი ხნიდან დაკარგული ძმების მოკცევის საქმეში.

მოგზაურობა მისი მაღალ ყოვლად უსაგლმოდ. ლომოსის, არაქიანისკოპოსოს პაპოსი, საპარტი. მსახურისა თაბილისიდან გიჟინტაში და აქელი გიჟინტის სოპორუს პურტხეა.

(გაგრძელება)

სწორეთ ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც ხომალდში შევედით და გავემგზავრეთ ბიჭვინტისკენ პათონი-დგან როგორც ჩვენ, ისე ყველა მლოცველები და ახალი პათონის მონასტრის ძმანი. ტაროსი დილით მშვენიერი იყო და ზღვაც ძლიერ წყნარი. ბავიარეთ ხუთი-ოთხე ვერსი, თუ არა, შევინშეთ ზღვის ღორების (ღლიუნების) თამაშობა ზღვაში. პარახორის კაპიტანმა სთქვა, რომ ღლიუნების თამაშობა მოასწავებს ზღვის აღელვებას, როგორც ეს გამოცდილი აქვს პარახორზე მცხოვრებთა. მართლა, არ გაუვლია თუთხმეტ წამს; ამოვარდა აღმოსავლეთის ქარი. თუმცე ქარი ძლიერი არ იყო, მაგრამ ზღვა მაინც აღელდა. ქარი იქით უბერავდა, სადეთაც მივიღო. მაშინვე აღქმები. მართლად მოუმატა სიარული ხოლმანდა. მაიუტ-ზალაში ემზადებოდნენ და მშვენიერად გალობდნენ გალობები მისი მაღალ ჰოვლად უსამღვდლოცობისა. შველანი თითქმის პალუბაზე იდგნენ. მშვენიერმა გალობამ ყველანი მოიყვანა რაღაც ტკბილ გრძნობაში. ზღვის ზვირთებმა ძლიერ მოიმატა, მაგრამ სამხედრო ხოლმანი *«მასზეკი»*, რომლითაც ჩვენ მივიღოთ, ძლიერ ღრმით სდგას წყალში და ამიტომ ბევრ ევრაფერს ეტყობილობდით. ბოლოს დროს ხოლმადის ნამეტანმა რყევამ იმოქმედა ზოგიერთ პირებზე...

მივედით, როგორც იქნა, ბიჭვინტის ბოლოზე. მაგრამ როგორ გინდა გადასვლა! ერთი ნაფი მობმული იყო დიდი ბაწრით ხოლმადზე და იმით უნდა გადასულიყავით ხმელეთზე, მაგრამ ნავის უფროსმა უარი განაცხადა, რადგან ბოლოშიც ზღვა ნამეტანად აღელვებული იყო. სისოვეს ხოლმადის კაპიტანს, რომ მოეცადა ერთსაათი მაინც იმ იმედით, რომ იქნება ცოტათი დეღა და მცხარელიყო და შექმდე გადასულიყავით, ხმელეთზე. მაგრამ კაპიტანმა ვერ გაბედა გაჩერება, რადგან ეშინოდა ნამეტანი ზღვის აღელვებისა. იმან მოაზრება ხოლმადი და სისოვესკენ გამაგრება გაკეთა.

ყოველ სამღვდელს მოგზაურობა რაჭაში.

ყოველ სამღვდელს იმერეთის ეპისკოპოსი მზარეული მოზრძანდა რაჭაში წარსულ ივლისს. ზემო რაჭის მამა დეკნ. ზიარგობიანის საბლაღოჩინოში მათი მეუფება გვეწვია აგვისტოს პირველ დღეებში. როგორც სხვაგან, ყოველ სამღვდელს აქაც სათითაოდ დაიარა თითოეული შტატი, სადაც მჭევრმეტყველოდა ჰქადაგებდა და აძლევდა ხალხს გრძნობით საესე მწყემსო-მთავრულ დარიგებას. შევლან სინარულით და აღტაცებით ეგვებოდნენ ყოველ სამღვდელს, ყველა მსურველი იყო მათი მეუფე ბის ნახვისა, სხვათა შორის, სასიამოვნო სურათს წარმოუდგენდა მნახველს ზემო რაჭის სოფლების სამრევლოების ყოველ სამღვდელთაგანს მიგებება: სამს აგვისტოს, შაბათს, საღამოს ექვს, სათზე, მოზრძანდა ყოველ სამღვდელს უწყრილად. მითქმის ნახვევარი ეგრესის სიმორცხე იყო ყოველ სამღვდელს, როცა ეიწყეთ რეკა ზარისა, პუარებელი კაცი და დედა-კაცი, დიდი და პატარა რაზმ წყობილად შეეკრნენ ყოველ სამღვდელს, აქვე სოფლის მასლობლად რკინის ხიდიდამ დაწყებული ვიდრე ეკკლესიის გალანამდე. ამდენი ხალხის შეგებებით აღტაცებაში მოსულმა ყოველ სამღვდელს, თითქმის ეგრესის მესხეთელი მანძილი გაიარა ფეხით ეკკლესიამდე. მთელი ეკკლესიაც გაჰყვით იყო ხალხით. ყოველ სამღვდელს შებრძანდა რა ეკკლესიაში, «მცირე შეგვიწყალონის» შემდეგ მან აღამდლა ჯვარი; სდგა აზიანდამ დასავლეთით და მიმართა ხალხს შემდეგი ლოცვა-კურთხევით: «მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტის და სიყვარული წმინდისა და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა იყვენ თქვენ ყოველთათანა».

ამის შემდეგ ყოველ სამღვდელს იმთხვია ხელზე ხალხი თითქმის ათას სულამდე, დიდი და პატარა. ჩვენ გვეგონა, თუ მათი მეუფება, როგორც დღაღული მოგზაურობისაგან, შესწუხდებოდა ამდენი ხალხის ამბორებით, მაგრამ ყოველ სამღვდელს ისეთი მხნედ ბრძანდებოდა, რომ იმდენ ხალხში არ გაუშვია არც ერთი უსუსური ბავში, რომლისთვისაც ჯვარი არ გადასახოს და არ ეთქვას: «გაგზარდოს ღმერთმა». გათავდა ამბორებაც და საღამომაც მოაწვია. ყოველ სამღვდელს წაბრძანდა ბინაზე; მას თან გაჰყვა დიდი გროვა ხალხისა. სოფლის პატარა ბავშვის ხალხისათვის მოძრაობა და თამაში

მეტად ახალისებდნენ ჩვენს მეუფეს. მათი სახის მტყველება ცხადთა ამტკიცებდა, რომ ისინი მოხარული იყვნენ ამ გვარი ხალხისათვის მთიულ ხალხის შეგებებით. ბინაზე ყოველ სამღვდელს წარუდგინეს მომზადებული ბავშვები, რომელთაც გვარინად ჰქონდათ შესწავლილი რამდენიმე ლოცვა. ყოველ სამღვდელს თითოეული მათგანი დააჯილდოვა ჯვრითა. მეორე და მესამე დღეს ე. ი. კვირას და ორშაბათს მათი მეუფება მწირველი ბრძანდებოდა ამ სამრევლოში. მთელ ორშაბათი დღე იყო და ხალხს გაცხარებული მუშაობა—მკა და თიბეა ჰქონდა, მაგრამ ხალხი წირვაზე იმდენივე დაესწრო, რამდენიც კვირას.

ყოველ სამღვდელს სასიამოვნოთა დაუჩა, რომ ხალხმა ამ დღეს მუშაობას წვთის ედრება არჩია და ამისათვის გუშინდელზე კიდ უფრო გრძნობით უქადაგა მას. ამ დღეს, მეორე სადილის შემდეგ, ყოველ სამღვდელს წაბრძანდა ს. შიორას, სადაც მეორე დღეს, ფერისცალებას, სწირა. აქედან ყოველ სამღვდელს წაბრძანდა ს. ბლოვლის, ბლოვლიდამ, უწყრას, უწყრიდამ საკაოს და საკაოლგან სოფ. ლაჩას, აქ ყოველ სამღვდელსაგან მთელი საბლაღოჩინოის კრებული ციყაით დაბარებული, სადაც ყოველ სამღვდელს მოგვცა დარიგება სხვა-და-სხვა საეკკლესიო საქმეთა შესახებ და ბოლოს გეკურთხა და თვითონ წაბრძანდა ს. სორს მამა დეკნ. შიქინაძის საბლაღოჩინოში.

მღვდელი მის. გაგაშელიოვი.

წმილი ჩამაქმორთან.

მ. რედაქტორი!

ჩვენს სამღვდელთაში საკვირველ მოვლენად მიიჩნია ის, რომ ერთი და იგივე მღვდელ-მოქმედებით წესები და მასთან ადგილობრივი სასულიერო მთავრობის განკარგულებანი სხვა-და-სხვა საბლაღოჩინოებში ერთ წაირად არ სრულოვდნენ. ყოველივე უმაღლესი სასულიერო მთავრობის მიწერილობანი მიუღიან ადგილობრივ ბლაღოჩინებს მათდამი რწმუ-

ნებული ეკლესიების კრებულთა გამოსაცხადებლად, მაგრამ სხვა-და-სხვა ადგილს ეს განკარგულებანი სხვა-და-სხვა ნაირად სრულდებიან. რომ აწეროთ ის, თუ რომელი მღვდელ-მოქმედებითი წესი რა ნაირად სრულდება სხვა-და-სხვა ადგილს ზოგიერთი სამღვდლო პირებისგან და ის, თუ ზოგიერთ ადგილს როგორ ესმით უმალესი მთავრობის განკარგულებანი, ყოველივე ეს მთელი გაზეთის ფურცლებს დაიკავებს და მასთან ბევრსაც არ იამება. ამიტომ მე დღეს მკითხველის ყურადღებას მივაქცევ ერთ გაუთვებელ საქმეს, რომელზედაც ბევრი ჩამ თქმულა გაზეთებში, მაგრამ საქმე ხეირიანად მაინც არ გამოიკვეთლა. ბი ის საგანი: სასიძოსაგან ითხოვება მოწმობა, რომელშიდაც იწერება: ეპარქია, მხარა, საფელი, სასიძოს წოდება, მისი სახელი, მამის სახელი, გვარი, სარწმუნოება, აღსარება, ზიარება, მგრამდენე ქარწინება, შობის და მონათელობის რიცხვი, ამასთანავე მოწმობაში უნდა იყოს მოხსენებული, რომ ჯვარის წერა სამ გზით იყო გამოცხადებული, და მასთან მოწმობაში მოხსენებულ უნდა იყოს სასიძოს ხასიათი. ამ გვარ მოწმობას უნდა ეყრას სამ აბაზიან მარკა და ხელ-მოწერილი უნდა იყოს ეკლესიის კრებულისაგან და ზედ საეკლესიო ღერბი უნდა იყოს დასმული. ასეთი მოწმობა ითხოვება სასიძოსაგან კანონით; მაგრამ ზოგიერთი საბლაღოჩინოს მღვდლები არ კმარაბენ ამას და საწყალ გლეხებს უბრალო ხარჯში ადებენ. ამ მოწმობის გარდა ზოგიერთი მღვდლები საწყალ სასიძოს სთხოვენ კიდევ მეტრიკის აღმოწერილობას წლოვანებაზე და მასთან მამასახლისი მოწმობას, რომლებზედაც სამ-სამ აბაზიანი მარკებს უნდა ეყრას. ბი ამის მაგალითი:

წარსული იელისის 28 ს მე მიეცე მოწმობა ერთ ჩემ სამრევლოთაგანს, ემას პავლე პეტრეს ძეს ბოლოჩაძეს, რომელიც წვიდა 30 ევრსტის მანძილზე და გამოცხადდა საფლის ხუნევის ეკლესიის მღვდელს ი. ა., მაგრამ ხსენებულმა მღვდელმა მას არ დასწერა ჯვარი, რადგან ჩემ მიერ მიცემული მოწმობის გარდა ხსენებულს გლეხს არა ჰქონდა მეტრიკის აღმოწერილობა და მამასახლისისაგან მიცემული მოწმობა. მეტად მიკვირს ამ გვარი შემთხვევა და სირცხვილდაც მიმაჩნია, რომ ერთ საბლაღოჩინოში ამ გვარი მოთხოვნილება არსებობს და მეორეში კი არა!

როგორც ზემოთაცა ესთქვი, ზოგიერთი მღვდლების გაუგებლობით საწყალი გლეხები დიდ ხარჯში ეარდებიან. მორწილისთვის ერთი მხრით სასძლოს

მშობლები ემზადებიან და მეორეს მხრით სასიძოს, მაგრამ ამისთანა მომზადება და ხარჯი ორივე მხარეს უბრალოდ ჩაუეღის ხოლმე, რადგან ხშირად მღვდელი არ ასრულებს საიდუმლო ჯვარის წერას. მაგრამ კანონიერი მოთხოვნილების მიზეზით კი არა, არამედ სხვა უბრალო მიზეზებისაგან, რომელნიც მოხდება ხოლმე ხშირად მთავრობის განკარგულების გაუგებლობისაგან.

ამისთანა მაგალითები ერთი და ორი არ ყოფილა და სასურველია, რომ ამ საქმეს ჯგეროვანი ყურადღება მიექცეს. თუ კანონით საჭიროა, რომ მღვდელმა ერთი კანონიერი მოწმობის გარდა მისცეს სასიძოს მეტრიკის აღმოწერილობაც და მასთან სასიძომ მამასახლისის მოწმობაც იქონიოს, მაშინ საჭიროა, რომ ყველა მღვდლები ვიქნეთ ვალდებული, რათა ამფერ მოწმობებს ვაძლევდეთ ჩვენ სამრევლოთაგანსაც და სხვა სამრევლოთაგანსაც ამ გვარივე მოწმობები მოვსთხოვოთ და, თუ ამ გვარი მოთხოვნილება უკანონო არის და წარმოსდგება ზოგიერთი განკარგულების გაუგებლობისაგან, მაშინ საჭიროა, მათ გაუთირონ ეს. *)

მღვ. ადელქსანდრე არდშივილი.

*) ამას წინეთაც იყო ჩვენგან გამოცხადებული და ეწლაც ეცხადებო, რომ ჯვარის წერისთვის არა ვითარი მოწმობა არ არის საჭირო მამასახლისისაგან. ნათქვამი იყო; „საჭიროა, უწყრილო კაცის ხელის მოწმობა მშობლების ნება-რთებაზე მამასახლისისაგან დამოწმებულ იყოს“; ზოგიერთმა ბლაღოჩინებმა ეს ისე გაგეს, ვითომც მამასახლისის მოწმობა იყოს საჭირო. ამისთვის მამასახლისების ეძლევენ მოწმობას; „მოწმობა ესე ეძლევა ამა გლეხს, რომ ის არის ძირითადი გლეხი კაცი, კარგი პურ-ღვინისა და ს.“ ამისთანა მოწმობა, როგორც გვაგებო ჩვენ, ძვირად უფდებათ გლეხებს. კიდევ განვიმეორებო, რომ სრულებით საჭირო არ არის ამისთანა მოწმობები და რიგია ბლაღოჩინებმა განუმარტონ ეს თავის საბლაღოჩინო მღვდლებს.

რედაქტორი.

ძმური დარიშხვის ნიშნუი. *)

ქრისტეს მიერ საყვარელი ძმაო!

სიყვარულით მოკითხვას მოგიძღვნე და შენს მშვიდობას ვისურვებ; გარდა ამისა მეხუთე მცნებაში გვიბრძანებს ღმერთი: ზატეივე მამას შენსა და დასა შენს, რათა კეთილი გეყოს შენ და დაგვრძელდეს ყოველნაშა ზედა, და ესე მცნება და სხვანაცა თანა გაქს, რათა პირველად შენ დაცვა მტკიცედ ყოველივე ეს და მერმე სხვათა მოწაფეთა შენთა და ყოველთა ქრისტიანთა ასწაო, ვინაიდან მღვდელი ხარ ღვთისა მადლისა და მოძღვრად და მქადაგებლად დადგინებული ქრისტეს სამწყსოსა ზედა და უკეთეს სხვათა მქადაგებელი მამა თვით გამოუტყველ იქმნები, და პირველად შენ დახსნი მცნებასა მას ღვთისასა, მაშინ იქმნები არა მოძღვარი და მწყემსი, არამედ სასყიდლით დადგინებული მცნებისამებრ წმიდისა სახარებისა, რომლისა მქადაგებლად დადგინებულ ხარ შენ, და რომლისა მიმტოვრობითა და ქადაგებითა თანამდებ ხარ, რათა მოაქციო ევლელთა ცეცხლნი, სადაცა წარვლინებულ ხარ შენ ეკლესიისა და მწყემს-მთავრისაგან მღვდელად და სახარების ქადაგად. დედაშენ შენმან გიტყვიან შენ ცხრა თვე მუცლითა, გშვა შენ სოფელსა შინა, აღზარდა ქერიგობრობითა თვისითა, გაგსწავლა საღმრთოთა სწავლითა და აღგიყვანა მაღალსა მაგას ხარისხსა ზედა მღვდელმობისასა, რომელი ანგელოზთათვისაცა გულის სათქმელ არს, და შეუსწორებელ არს ყოველისა ხარისხისა და პატივისა; და შენ ნაცვლად ამით ყოველთა კეთილთათვის, პანდურთა გიკრავს მშობლისა შენისათვის და გამოგიგდია უღვაწლად, მოაუტყვეულებასა, სწეულ-

*) გუგუდვით ამ წერილს შეუცვლელად. იმედია, რომ ეს გონიერული დარიგებით წერილი არ დარჩება უსარგებლოდ იმისთვის, ვინც რიგინად არ ეპყრობა თავიანთ მშობლებს. თუ იმ დროში, როდესაც ეს წერილი არი დაწერილი, იყვნენ არა პატივის მცემელი თავიანთ მშობლებსა, დღეს, ვფიქრობთ, უფრო მეტია ამისთანა პირები. განსვენებულს ტარასის დიდი და პატარა მამასავით უყურებდა და პატივს სცემდნენ. რათ უყვარდით და რათ სცემდნენ პატივს ამ სასულიერო პირს, ეს მისი წერილისაგან ცხადია სჩანს. ნეტავი იმ პირველთ, რომელთაც ამისთანა მოძღვრები ეყოლებათ.

რედაქტორი.

ბასა და სიგლახაცესა შინა მყოფი, რომელმანცა განლია საცხოვრებელი თვისი აღზრდასა შენსა ზედა, ხოლო შენ ესლა შესდგომიხარ დედა-კაცურს ქარსა და ზღაპრობასა, ვითამცა დედა შენი იყოს შენის მეუღლის სწეულების მიზეზი, რომელი გულ-ქვა დედა უნდა იყოს, რომ თავის ნაშობის შევლისათვის მოინდომოს ბოროტი! და ვინა ჰყავს დედა შენს შენზედ უძვირესესი და უსაყვარლესი, რომ კეთილი არა სურდეს შენთვის. რა პასუხს აძლევ ღმერთს იმის შეურაცხებისათვის, მღვდლო, ვინ უნდა აცხოვროს მოხუცებულებასა და უკანასკნელს სიგლახაკეში მყოფი და შენზედ განლეული და დამაშვრალი? რას ფიქრობ, რატომ სინიდისი არა გწყლავს ასე უნუგეზოდ და უსარჩოდ დატყვებისათვის დედის შენისა? მე გირჩევ, მამაო, სიყვარულით, რომ ნუგეშინდები ამ დედა-შენს და სარჩო მისცე, თორემ დამწვარი გული დედისა ილაღდება წინაშე ღვთისა შეიღოსა თვისსა ზედა, და ვერცა კეთილსა რასამე მიმთხვევი შეურაცხ-მყოფელი დედისა. მე ამას გწერ და გამხილებ, მაგრამ ისე კი არა, ვითომც უფლება მაქვს ჩამე შენზედა და იმისთვის გწერ კანდიერად, არამედ გწერ მოვალეობითა მღვდელმობისა და ძმობრივი სიყვარულისათვის, რათა აღვაშენებდეთ ურთიერთარს და განვმარტივდეთ ცთომილებათა ჩვენთა ბრძანებისამებრ მოციქულისა, და შენ ნუ მიიღებ ჩემსა ამას უზაკვე. ესა მხილება და სიყვარულით უნდასა მოძღვრებასა წურცა მტკირობად, წურცა სიძულვილად, ვინაიდან თვით შენ უწყი, რომ მე შენთან საძულველი და სამტერო არა მაქვს რა, გარდა კეთილის წადილისა და სიყვარულისა, და ღმერთი სიყვარულისა იყავ შენთან.

თქვენი მშვიდობის მოსურნი ი. ტარასი.

ლია წმინდი

ბ. კავკასიის კათოლიკეთ ეკლესიების ვიზიტატორს.

მამაშენ ამ დროს რომ აქ ბრძანდებოდათ მღვდელსა და ქრისთ მშვიდობიანობის დასამყარებლად, დიდი სიკეთით მიგმართეთ სახლს და უბრძანეთ, რომ არ წავაგვასთ თქვენ დადებულ წინაშესა: «მათი ღვაწლით

გაბრუნებულ ეკლესიას თქვენ ატყვევო, მათი სცადით კეთილ-დღეობაში მყოფ მღვდლებს ღანძრავთ, შეურაცხ-ყოფთ და ავიწროებთ.

თუმც კართი წლის შემდეგ გაძლეოთ ზსუსეს თქვენ-გან წარმოთქმულ სპეციალურს. მაგრამ რუსული ანდაზისა არ იყოს: «лучше поздно, чѣмъ никогда». მეორე მაჩვენებელი ისაა ის გასაღებით, რომ დასწლოებით ვერ გიხიბობათ ამ პატრუ-ცემულ სულიერს მამას, რადგან ახალი მობრძანებული იყო მამა.

არაა დასჯერი, რომ ქუთათურ ფრანკობას უფრო დაეხმოს. ჩვეუნიერება მეფის წინ მიდის და ჩვენს უფულ-მა რათ იმოქმედებდეს ეს ბუნების განზონი. გვარსებ თქვენ თათონ არ იყოთ ამ აზრის წინააღმდეგი, მაგრამ ზღბათ უჩვეულო შფოთბა მღვდელს და ერის შორის წარმოგათქმე-გინათ ესეთი სუვერუმი. შესაძლებელია, მღვდელს უბრა-ლოთ სთვლიდით ამ შფოთში და ამიტომაც ხალ-ხის იმსხე სანიკარმა უნაყოფოთ ჩაიარა, მაგრამ ტყვი-ლათ სსვასაც არ ატყისან ამ გვარათ. განზონიერი უნდა ყოფილიყო ხალხის თსიკანს, რომ აწრავართ ნახვევი ამის-თანა მღვდლებს და სხვა მოგვეცითოა. გასავერველია სწორეთ, რათ არ იქნას შეწინაბებული ხალხის ესეთი თსიკანს! ავტორულებათ ხალხის სურვილი და შესაძლე-ბული იყო, ახლანდლებს უფრო დიდ პატრუში ჰყოლო-დათ მღვდლები, უფრო დიდი დეწლი დადოთ მღვლე-სიანს და ჩვენს ერის წარმტების საქმეში. ჩვენსე რომ უფულმა არ უმოქმედას ღემოსსენებულ ბუნების ძალას და ახლას უფრო უკეთესათ მომოსაბებული პარები გვეყვს საზოგადო საქმისათვის, ამას დამტკიცებს ძნელი არ იასი:

ბ. ბარსლდინი მოგვითხრობს თავის ისტორიულ წერალებში, რომ ოც-და-ათი წლას წინათ ქუთათისის ფრანკებში პირველ წარჩინებულ პირათ სტ. აკოფაშვილი ითვლებოდათ, დღეს სტ. აკოფაშვილს კართი შვილი უმაღლეს სწავლს მიღებული ჰქვას და მეორე თავით სტ. აკოფაშვილმაც არ სთქვას, რომ ამ ჩემ შვილს მე გსვო-ბავართ. ავტორულ სსვას მომადლებიც ცდილან თავიანთი შვილების გამოხლანს: ზოგ ამითანს უმაღლესი სწავლს აქვთ მიღებული და ზოგს საშუალო. თუ სწავლ-განათ-ლება ამითვე უფულმა არ მოქმედობს, ესენი უნდა სწო-ბენ თავიანთ წინაშეს.

რად ამ დაღოცვილი მღვდლის ჩამოსვლას იყო და ესეთი შფოთის ჩამოგება ჩვენ საზოგადოებაში? მი-ყეზი ან რა გასაღდათ: მოსულისთანავე ის ჩამოკად და ჩვენი სავაჟო და საშალო სკოლებს მასწავლებლები, რომ არ გარგნართ, ბავშბს ვერაფერს ასწავლით და უნდა წახი-დეთო. ატყდა კართი ჯდაქოთი ჩვენ საზოგადოებაში. გაძმართა პარტიობა. ზოგი იმხლად: მღვდელი არ ვარც, ზოგი—მასწავლებელიო.

მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ იქ იმისთანა ზი-რები იყვნენ მასწავლებლებად, რომელთაც შეუძლიათ რი-განათ საქმის წყევას. მაგრამ მეზონის-მეზონის არ და-ლეკაო, ნათქვამია. უმჯობესს ვინ არ ინდობეს! ჩვენ გვებონა, რომ პატრუცემული სულიერი მამა გულ-წრფე-ლათ მოქმედებდა და სკოლის საქმის რიგის გასაღე და-ვენებას ცდილობდა, მაგრამ შემდეგ გაიგეთ მისი წადილი.

შარშან ოკტომბერში ეპისკოპოსობადი მოგვივიდა ახა-ლი სკოლის წესლები, რომელიც გამოწვეულ იქნას მღვდელს და ერის შორის შფოთის მოსახლობათ. ეს წესლება მოსულისთანავე წვათხულ იქნას საზოგადო გრებაზე და ეგულას ძლიან მოყვანა. მართლაც, ჩვენს სკოლის საქმე ძლიან რიგანათ წვათხილდა, ეს მშვენიერი წესლება სის-რულეში რომ მოსულიყო, მაგრამ მღვდელმა არ მოინ-დოდა მისი სისრულეში მოყვანა, იშვავა რამდენიმე მომხრე სკოლების მხრუნეულობის წყერთა შორის და ეს მშვენიერი წესლება უარ-ყოფილ იქნას მათგან.

ამ წესლების ძალით სკოლის მხრუნეულობას შეა-ტენენ: მღვდელი მისი ამოძრეული წყრითაურთ, სანი სინდიო, რომელთაც ეკლესიას შესავალ-გასავალი აბა-რათ და ორი კომიტეტის წევრი, საზოგადოებისაგან ამომრეულნი. მღვდელი ამ მხრუნეულობის სხდომის თავ-მჯდომარეთ ითვლება და ორი ხმა აქვს მინიჭებული. საზოგადო გრებაზე ეპისკოპოსისგან გამოგზავნილი წესლების კითხვის დროს, წარმოითქვა ის აზრი, რომ სინდიოებიც ახალი უნდა ამოირჩეს, რადგან მათაც ხმა ექნებთ სკოლის საქმეებში და ძველ სინდიოებს კი სკო-ლის არა გატებათ რაო. მაგრამ აქვე ისიც თქვენ, რომ ისინი თავათ არ მიიღებენ სკოლის საქმეებში არაფერ მომანწილეობასო. კომიტეტის წევრებთ საზოგადოებამ ამოირჩია ექვით სენინობა და მეორე თქვენი უმომრჩი-ესი მონა. მღვდელმა თავის წევრთ ვიღაც იმისთანა პირი ამომრჩია, რომელიც ვერც ჩვენ საზოგადოებას იცნობს და არც ჩვენს საზოგადოების მოთხოვნილება იცნის მან. სკოლის საქმეც ისე იცნის, როგორც ჩვენმა მღვდელმა, მაგრამ ამასვე ქვემოთ იქნება მოსხენებული.

დაიღ, შესდგა ამ გვარად შარშან ოკტომბერში ჩვენი სკოლების მხრუნეულობა და შეუდგა თავის საქმეს.

რადგან ჩვენ საზოგადოებას ისა სურს, რომ ბავშ-ბი ჩვენი სკოლებიდან გემწიხიან მოსამზადებელ კლასე-ბში გზადიოდენ, ამისათვის სკოლის კომიტეტის წევრე-ბმა მოასწავს მღვდელს და სინდიოებს, რომ სავაჟო სკო-ლასში ისეთი მასწავლებლები უნდა იყვნენ მოწვევდნენ, როგორინც გემწიხიან მოსამზადებელ კლასებში არანო, ე. ი. ან მასწავლებლო ინსტიტუტში და ან მასწავლებლო სემინარიაში კურს შესრულებულნიო. ქალების სკოლასში

გი საქალაქო გიმნაზიაში კურსს შესრულებულიყო. «კვამის ქონებაზე ჭიდაობა», ნათქვამია. უფრო მართალი იქნება, ასე რომ ითქვას: სწავლა ქაიუნაზე ჭიდაობა. დიდად, სწავლა ქონებაზე ჭიდაობა, და ამიტომაც კომპიუტერის წვერებმა თხოვეს სინდიკატებს, რომ სკოლების ანგარიში წარმოგვიდგინათ. სინდიკატმა ამასვე ასე უთხრეს, რომ ამდენსანს ორსა თუ მანამ იხსრებოდა წელაწაღში, მაგრამ ამას იქით ასოც თუქმსე მეტი აღარ გვექნება. რადგან თითოეულ სკოლაში ოც-ათამდე მეტი ან არის, ამიტომაც კომპიუტერის წვერებმა სავსებით სწრაფად, რომ თითოეულ სკოლაში თითო მასწავლებლის მეტი არ იქნას და სემინარებზე უფრო ან ამ ნაირით განაწილებს: ორმოცდა რვა თუქმსე სავსე სკოლის მასწავლებელს, ოცდა თექვსმეტი თუქმსე საქალაქო სკოლის, ოცდა ოთხი თუქმსე სელ-სამხრის მასწავლებელ ქალს და თორმეტი თუქმსე შეშის და მოხმისხურისათვის გადავსეს.

თითოეულ სკოლაში თითო მასწავლებლის ფალაზე არც მღვდელი დაიწმინდა და არც სინდიკატი, ერთის გარდა. ესენი იმსხრნენ, რომ თითოეულ სკოლაში ორ-ორი მასწავლებელი მოვიყვით და ეს დანიშნული ჯამგირები იმით გაიყვით.

თორმე ამ სტატეგიულ ზირებს ის აწესებდა, რომ წესდების მოსვლამდის, ამით ეღივრ ვიდრეცისათვის აღუთქვით მასწავლებლობის ადგილები. მერე იმისთანა ბირები გამოქვანთ, რომელთაც იმის უფლებაც გი არ ჰქონდათ, რომ სამრეკლო სკოლაში ესწავლებიან და ამითან უფრო თვეში შემოვლანთ გაჭრობა ჯამგირის მოკლებასე და მომტებასე. ეს იყო მიზეზი, რომ არ თანხმდებოდნენ სემინარებზე წინადადებასე. შეიქმნა დიდი ზედატოვი ბასი მსრუფელობის წვერითა შირის. თუ რა აზრები იქმნა გამოტყუალი ამ ბასის დროს, შემდეგ მოგვსენებთ. ბერი ედენენ მღვდელი და სინდიკატი, რომ თავისი გეტანათ, მაგრამ გერას განდენ. საქალაქო სკოლაში მოწვეულ იქმნა გენმსახიში კურს შესრულებული და სავსე სკოლაში სამასწავლებლო სემინარიში კურს შესრულებული ზირები.

მღვდელმა და ორმა სინდიკატმა მოინდომეს მესამე სინდიკატის წამოშორება, რომელიც მათი აზრის თანახმად არ იყო, და ან რა ნაირით მოიყვანეს სისრულეში თავიანთი წაღი: ორმა სინდიკატმა შემოიტანა დათხოვნის ქაღალდი, რომ გვენ ჩვენი საქმე გვაქვს და სამსახური არ შეგვიძლია. მესამეც შეიტანა ასეთივე ქაღალდი. მოხდინა მღვდელმა საზოგადო ურიაობა, რომელსეც ამორჩეულ იქმნენ ახალი სინდიკატი. ორმა წინადადება სინდიკატს თორმე უფრო გამოიტანეს თავიანთი დათხოვნის ქაღალდი, მესამეს დათხოვნის ქაღალდი გი წარდგე-

ნილ იქმნა, სადაც ჯერ არს და განთავსულებულ იქმნა სამსახურისაგან. ამის შემდეგ ბერი ექვსი თვე გავდა და მიზა დათხოვა თითქმის ჯერაც აზრის იცის და მაგერს არც აზრის ირჩევს.

დარბაზი უფლებს მღვდელს და ორ სინდიკატს და მოკვებს უთავიბლოთ კვლევისათვის თულის სარჯეს: კვლევისათვის გადავანა მღვდლებს ბილი ჭქონდათ, რომელსეც სამის მხრით ქეთიარის გედალი ჭქონდა და შეითხეს მხრით მესრით იყო შემოკავებული. მოაწვდევს ეს მესერი და გვერთულა ქეთიარის გედალი ამართეს. კვლევისათვის გედაში მომავლს ქეთიარის ტრანკი და შეორე ადვილს გარდაიტანეს. ნეტავ რა საჭირო იყო ან გედალს აშენება, ან ტრანკის გარდატანა. ეს ეადევს აზრფერი, მაგრამ ვინ იცის, ეადევს რამოდენს სარჯეს ნეტავ! თუმცე წესდების ძალით სინდიკატმა წელაწაღში ერთხელ უნდა წარუდგინონ საზოგადოებას ანგარიში, მაგრამ აგერ მეორე წელაწაღი გვანს, საზოგადოებას ანგარიში ანგარიში საკვლევისათვის შესავალ-გასავალსე არ მოსსენება, გასაგვირგვინა, რათ მოიხმოს ეს კომისია, რომელიც უფრო თვეობით ივრებოდა და სინდიკატისაგან ანგარიშს თხოულობდა. მე ამას იმიტომ გი არ მოგვსენებთ, რომ ამ სინდიკატთან ნდობა აზრის ან ჭქონდავს; მაგრამ «სიფრთხილეს თავი არ სტევიო», ნათქვამია. ნამეტნავად რომ აზრისთან ნდობა არ გარდა, — ეს წინადადება გამოცდადებობაც ვიცი. ამ ბოლო ხანებში უფროდებთ მათი მოქმედებამ სხნს, რომ სკოლაში მოიწვევიათ იგი ფასანა მასწავლებლები, რომლებთანაც უფრო თვეში გაჭრობა შეიძლება ჯამგირის მომტება მოკლებასე. აგვისტოსთვის ზირეფს სავსე სკოლის მასწავლებლის სვედრი ჯამგირიანად ერთი თუქმსე დავაგვიანთ, თუელი არ არის, და ამავე მიზეზის გამო საქალაქო სკოლის მასწავლებლისთვის უთქვიათ, რომ სკოთი მანათი მოაკელი შენი ჯამგირიანადი. ამასე რომ დასტური გერ მთელიან, დაშქრებანი, რომ სტატეგიკით თვეში თითო თუქმსე მოკვადება სვედრი ჯამგირიანადი.

საფერისგვლებით, ე. ი. ამავეთვის ექვსი მღვდელს და ორ სინდიკატს მოწვევით ოცდა ბირი მთელი საზოგადოებამ, რომლებსთვისაც საზოგადოების წარმომადგენლები თავით დაურქვევით, მაგრამ ამ წარმომადგენელთან მხოლოდ ექვსი მისულა. მღვდელს და ამ ორ სინდიკატს ეს ბირები სავსისხად უცნიათ, რომ მთელი საზოგადოების საქმე გარდაუწვიანთ და მოესსენებთ ამ ბირებისთვის, რომ ეკვლევისათვის შელებას გვინდა და სკოთის ან ექვსის თუქმსე დათხოვნა.

თუ თუელი ბერი გვაქვს, ჯერ უფრო დიდი მოთხოვნისაგან დავაგვირგვინებთ და მერე ვითქვით კვლევისათვის შელებასე. ჩვენისთანა მშენებრი კვლევისათვის

მის მთელ გავასაში არა სარწმუნოების ხელს არა აქვს და ნამეტანი სარწმუნოება და სჯობს...

ამ მოწვეულ ზირებს კი დარბაისლურად მოუხმებიათ ეს მოსხენება და დაუდგენიათ: სუიას მანათამდე დაიხარჯოს ეკლესიის შეღებვაზე. არ გინდა ამ ურდობას რას დაარქვეყნე სინდიკატი და ამ მოვეყნებენ სისრულეში ამ ზირების გარდაწყვეტილებას, თუ არა?

ახლა კი დროა მღვდლისა და სინდიკატის შედგენილი მოსაზრებაზე მოგვსენოთ, სემოთ რომ დაგზავნა. მღვდელმა თვით ბრძანა, რომ შედგენა არა მარტო შესწავლილი, მაგრამ სამაგაოროთ ფილოსოფიის მისწავლანა, რომელიც შეიცავს უოკალიზაცი უნივერსალს. ამიტომაც შედგენილი შემიძლია ვიქონია მსჯელობა. ეს მამა წარმოსთქვა, როცა ამას უნდოდა, რომ მასწავლებლობა ამისთანა კაცისათვის მიეცა, რომელსაც ჩვენი სკოლის გურბის მეტი არ ჰქონდა ცავალი. ფილოსოფია თვით სავანის არსებას აქვეყნებს ურადლებას და არა ფორმას. კაცის ოდონდა ის შეათვისოს ბავშვს, რაც თორმეტი იცის, თორემ ის ფორმით, მეტადით, ან სისიტუაციით შეათვისებს, ეს სულ ერთია. მამა ვიფიქრე: ასე ცუდია ფილოსოფიის ურდობა, თორემ ამდენი ფულები რომ არ დაიხარჯებოდა ტყეიდან უბრალოდ რადღა სამასწავლებლო სემინარიებზე და ინსტიტუტებზე.

ლუარსაბას არ იყოს სწავლა არც ერთს არაფრისა არა აქვს, მაგრამ ლუარსაბს ის სიკეთე მანინ ჰქონდა, რომ «წერნი ქალის საქმეა», იტყვოდა ხოლმე. ესენი კი ამის წინააღმდეგებიან არიან. ქალების სკოლაზე რომ ღიბის ბასია, ერთი ამბობდა: «ვინც უნდა იყოს მასწავლებლათ, სულ ერთია: ქალებისათვის სწავლა და სჯობს». ამასე მოახსენეს, რომ შეილება კარგად გამოცდილი. ამასე მატეგეტიკაში სინდიკატი თვითმწიკებით წამოიძახა: «თუ უსწავლელი იყო ცნობილი დედაჩემი, იმიტომაც ვერ გამოიხარდა! ან გავიხსენოთ და სჯობს, რომ გიშინაბიბო გავადინე და უნივერსიტეტში გაათავო, «განავრდო ნიშის მოგებით», მე აქედამ გამოსული არავინ მისწავლა, რომ გამოიდრებულეყვას და ისიც ტყეილი სარწმუნოა».

მეორეზე არაფერს ვიტყვი, რადგან ჩვენ სსდომებზე ის თვით არაფერს ამბობს.

«ესე ჩემო მანსკო, ხან ისე და ხან ასეა», სწორეთ ამ ჩვენ მოთავეებზე ნათქვამი. როცა ეკლესიებში ეპისკოპოსის ახრი, მამა გაიძახა, რომ ეპისკოპოსის ბრძანებას ვერ გადავლტო და როცა არ ეპიტანებათ, მამა ამბობს: ეპისკოპოსის სიტყვა რომ მართლა ეყვლა არ შესრულდება. რომ ღიბის სიტყვებით არ ჩამოართონ

ეს, მოგვიყვან მრავალ მაგალითადმ ერთს. სსწავლებლის წესებაში ნათქვამია: священникъ долженъ, какъ это прилично и необходимо, не только преподавать законъ Божий въ приходскомъ училищѣ... ამ იმის და ნაბოკოს გავსებით თაი—მღვდელს ისიც არ უნდოდა, რომ სსდომთ სკოლა ესწავლებას სკოლაში. ქალების სკოლაში ახლაც არ ასწავლის და სავაო სკოლის უფროსს განყოფილებაში დაიხსნება კვირისაში სამი ტაქტილით დეკანს. პირველ განყოფილების ბავშვებისათვის ვიპოვოთ ჩვენი სარწმუნოების გინე, დაუნიშნოთ 15 ან 20 მანათი თვეში და ამას ასწავლით. ამასე რომ თანხმობა ვერ მიიღო, მეც სთქვა, რომ ეკლესიაში წირვის დროს ბავშვი ცუდით იქვეყნა და ერთი კაცი იმისთვის მანინ უნდა ეყოლიათ, რომ ბავშვს ეკლესიაში თვალყურა ადევროს. ჩვენ დღემდე ამასე მღვდლის მოვალეობით ესთვლიათ, მაგრამ ამას განცხადდა, რომ ეს სრულებით ჩვენი მოვალეობა არ არის და წინააღმდეგ მღვდლებს თაიანთი სურვილით მომეტებული ჯახა უყისინათო. ხმის უმრავლესობით გადაწყდა, რომ ამ 120 მანეთს, რომელიც შეიძის და მოსამსახურისათვის იყო გარდაღებული, დამატოს 60 მანეთი და მოწვეულ იქნეს ამისთანა ზირი, რომელმაც საუდარმავე თვალყურა ადევროს ბავშვს წირვის დროს და სსდომთ სკოლიც ასწავლოს პირველ განყოფილებაში. ეს გარდაწყვეტილება სისრულეშიც მოგვიყვანს და მთელი ცანის განმავლობაში სსქე ასე მიდიდა.

ასე ნელ-ნელა მიეჩვიე ეპისკოპოსისაგან გამოცხადებულ წესების ახსრულეობას და ამ ბოლო დროს აქამდის მაღწიეს, რომ ეს წესება გუთნებშია მიღებული... და როგორც თვითონ სურს, ისე იქვეყნა. თავს იმით იმართლებს, რომ ეპისკოპოსისა არ იცოდა ჩვენი გარემოება და ამიტომაც არც მისი წესება ვარჯ ჩვენი სკოლებისათვის.

ჩვენ გვინდოდა მერვეს მოვალეობით სკოლის სსქეზე, მაგრამ მღვდელმა არ ინება საზოგადოების მოწვევა. ამ გარემოებაში გვაძულა თქვეთონ მოქმედებოდა. ბეჭდვის საშუალებით იმატოდა მოგმართეთ, რომ ამ წერალს «დანოსი» არ დარქმეოდა. იმდია, უოკალიზაცია ამას უკოვან ურადლებას მატეკეთ და ისე გაიარებოთ, როგორც რომელიც ამბობს: suum cuique tribue.

ქ. ქუთაისის კათოლიკეთ სკოლის კომიტეტის წევრი

სტ. ხოჯივანოვი.

მოქუთაშულის ლოცვა.

მივიღტვი შენდა, მოწყალებე დმერთო,
მოძხედე საწყაღს ცოდვით დაჩაგრულს,
განუყოფელო, სამებაჲ ერთო,
ეშაგს ნუ მისცემ ქვეყნით დაგარგულს.

წუთი სოფელმა მე მიდლატა:
გეთილი ჩემთვის მას არ უქნის;
ცოდვა-ცოდვაზედ მან დამიბატა,
მაგრამ შენს მონას ის არ უცნია.

აწ მე არა ვარ ამა სოფელისა,
შენ ჩრდილ ქვეშ მინდა, რომ განვისვენო;
კაცთა შემწე ხარ, შემძლე ყოვლისა,
გთხოვ შექი შენ მე განმიფინო.

შენ მომიტყვენ ცოდვანი ჩემნი,
რაც რომ შენ წინა მე ადვიარო
და მუწყენ მე ალაგნი შენი,
რომ შენმა მონამ მაზედ ვიარო.

ნესტორ ღიფონაჲ.

სხმა-და-სხვა ამაჲი და შენიშვნაჲი.

ღმა თვის ხუთსა მისმა იმპერატორებითი შმა-
ლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ
ლირის გახადა მუთათურები წვევისა. ნაშუადღევს
თეთრმეტის საათის ნახევარზე მუთათის რკინის გზის
სტანციაზე მათი იმპერატორებითი შმაღლესობას
შეეგება დიდ-ძალი საზოგადოება. მაგზლიდამ დაწყე-
ბული ის ქუჩები, რომელსადაც გაივლიდა მათი
იმპერატორებითი შმაღლესობა, განათლებული იყო.
მაგზლიდამ მათმა იმპერატორებითი შმაღლესობამ
ინება შეგრძანება მუთათის გუბერნიის სამხედრო
გუბერნატორთან; იქიდან მობრძანდა პირ-და-პირ
კლუბში, სადაც შეკრებული იყვნენ უწარჩინებულესი
პირნი. მთელი ქუჩა ეაგზლიდამ კლუბამდე საცე
იყო ხალხით და «ურას» ძახილს არა ჰქონდა დასა-
სრული. ძლოუში მომზადებული ჰქონდათ ეახშამი.
მაგზმის დროს კლუბის გარეთ უკრავდა სამხედრო
მუსიკა და ზურნა. დიდმა მთავარმა სიამოვნებით
გაბატარა დრო და თორმეტ საათზე წაბრძანდა მუთა-
თისიდან.

მთელი კავკასიის ხალხს განუსაზღვრელად უყე-
რდა და პატივსა სცემდა მათ იმპერატორებითი შმა-

ღლესობას, როდესაც ის აქ ბრძანდებოდა ნამესტნი-
კად, მაგრამ ეს სიყვარული მათი იმპერატორებითი
უმაღლესობისადმი ერთი-ორად გადიდა მას აქეთ,
რაც ის მოშორდა საქართველოს.

* *

ოქტომბრის თვის ათს გაიარა ბათუმიდამ ოზი-
ლისისკენ ახალმა სომხების პატრიარქმა მაკარიმ.
შეველან სომხები დიდის ამბით ეგებებოდნენ მას.
ჩემი ჩინოვნიკობაც დიდის პატივის-ცემით ხედებო-
და ალაგ-ალაგ პატრიარქს რკინის გზებზე. რიონის
სტანციაზე შეიკრება ხალხი შესახვედრად. ხალხის
წინ წამოღვა თავიდან დ. წერეთელი და პატრიარქს
უთხრა მოკლე შესხმა, რომელშიაც გაატარა ის
აზრი, რომ ახალი პატრიარქი ეცდება ორი და-
შორებული ძმების—სომხების და ქართველების
ერთი ერთმანეთთან დაახლოვებას და შეთვისებას.
პატრიარქმა მადლობა და ლოცვა-კუთხევა გამო-
უცხადა თ. წერეთელს მილოცვისათვის და უთხრა,
რომ იმისი სანატრელი საქმე სომხებისა და ქართვე-
ლების ერთმანეთთან დაახლოვება და ის ყოველივე
ლონის ძიებას იმარს ამისთვის. პატრიარქი თერთ-
მეტს ოქტომბერს შევიდა ოზილისის ქალაქში, სა-
დაც ის დიდის ამბით და პატივით მიიღეს.

* *

ღაბეჭდა და ურიგდება ეკლესიებს ახალი წეს-
დებულება სასულიერო კონსისტორიათა. დიდი მად-
ლობელი უნდა იყოს საქართველოს სამღვდლოება
მისი მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობის, საქარ-
თველოს ექსპლუატის, არქივისკოზის პაელესი, რომ-
ლის თაღსნობითაც ეს წესდებულება გადითარგმნა
ქართულ ენაზე საქართველოს სამღვდლოებისათვის.
ამის შემდეგ ყოველ მღვდელს ადგილად შეუძლია
გაიგოს თავისი მოვალეობა, აგრეთვე შეითვისოს
მრავალი სხვა-და-სხვა სასულიერო კანონები, სხვა-
და-სხვა საღვთისწესებს და აერიდოს იმისთანა საქ-
ციელს, რომლისათვისაც მას სჯიან ზოლმე. სასუ-
ლიერო კანონები თითქმის სავრო წოდებისათვისაც
terra incognita-ს შეადგენდა. მაშინდელმა ადვო-
კატებმაც არ იციან ზოლმე, თუ როგორ დაიწყონ
ზოგიერთი საქმე სასულიერო წოდების პირთა შესა-
ხებ. მშლა იმედია, ყველასთვის ცხადი იქნება სხვა-
და-სხვა გვარი საქმეები სამღვდლო და საეკლე-
სიო მოსამსახურეთა შესახებ. წიგნი ღირს ორ-
აბაზთ.

ნაკვეთი

ეტნაზე. ლეოპოციგის ერთი მხატვარი ამ ნაირად ავიწყებს თავის ეტნაზე ასვლას.

ადლე იყო მშენებელი; მაგრამ ძლიერ ცხელი. ჩვენ ავედით მთაზე საბამოს უკან; დავისვენეთ გვრეთ წოდებულ კახა-ინგლისზე და დილის სამ საათზე შეუდგეთ კარტულის ად-მაროს. მთარე ჩადილდა; ის იყო ინალი. ვირობი ძირს დავს-ტოვით, რადგან კარტულის წვერზე ფეხით უნდა ავსულიყავით. კახა-ინგლისს ახალი კი ვრტა თოვლი გარშემო; რომ კრა-ტეზე ავსულიყავით, უსათოდ ამ ადგილის ახლოს უნდა გავგველო; ეს გზა ძალიან საძნელო და დასაღალავია; რად-განაც პა გრადუსის სიმაღლეზე წელ-გულთაგან მოსწორებულ, მიწის პირსაგან ამოასწოვ, ნაცარზე უნდა გვევლო. ფეხები წმინდა გვისლტებოდა და მხოლოდ წელზედა ფეხის საბი-დით შეგვეძლო მოძრაობა. დიდი მოთმინება გინდა გაცს, რომ ეს უკანასკნელი სიგრვე გადიარო. ჰაერი ამ ადგილას ცივი და იშვიათია; ნაცრისაგან ამოდის სულის შემწოველი გაზი და ორთქლი; მაგრამ ის ფიქრი, რომ მხოლოდ ნაცრის საბი-დის საფლად დარჩაობა უდიდეს უღაცანაშენს ევროპაში (პაპი მეტია), სელ-ახლა გამწვანებს გაცს და გიმატებს ძალას წვეთი ასვლისას. ოთხ საათზე ჩვენ მივადეთ უღაც ანის ყუღამდის; მინამ კარტერიდამ მის უსწერელში ჩავიწვდევით, ძირულ ცივმა ქარმა უნებურად მიგვანის ნაცარზე. მაგრამ რა შემაწყენელი გრძნობა იპყრობს ამ დროს გაცს, რომელიც თითქო სარწმუნო საფლავში გახვეულია; მთელი მთის წვერი ინარჩუნდა და თრთოდა, გრძნობასაშინელებისამ იმეტა, როცა ჩვენ ჩავიწვდეთ კარტერიდამ უსწერელში; კარტურის ძირიდან, გახუწყულივით ამოდიოდა სვეტ-სვეტად გემოლი ქუჩილის მსგავსის წმით და ხანდისხან ისეთი ტაყუხითაც, რომ ასე გვემუხებოდა მალად ერთიანად გაცდა კარტერი, ახლანდელი კარტერი ეტნის ოც-დაათ-ჯერ უდიდესი გვერის კარტურზე. ზოგის ნაივარზე ღირა ჯის ზღვას სისხლივით წი-თული ფერი დადებოდა და გამოჩნდა ამომავალი მზე. ჩვენ კონსტის დადებაც არ შეგვეძლო, მხოლოდ გზებში და ტა-ყუნი მთაში არღვევდა ამ დარბაზისყო მეუდრობას. ნელ-ნელა დაიწყო გამოჩენა მიწის ზღა პირში; გალახარის მხრით გამოჩნდნენ ღობარის კუნძულები, მთის კალთასთან გადაშლილია მთელი სიცილია, როგორც ბუმბურაზელი რელიეფი.

ეს იყო მეტად ცინცალი დილა და ჩვენ თითქმის ცხა-დათ შეგვეძლო გარჩევა აღმოსავლეთისკენ მალტის...

განსჯადებანი.

ბაჰამიდა და ისპიდმა

ქართულ ენაზე პირველად გამოცემული

სასულიარო კონსისტორიათა

ახალი

წესდებულება.

ისეილება ქ. თბილისში გრიქოროვის და ჩარ-გვიანის წიგნის მაღაზიებში და ქუთაისში ძმთა ტილაძეების და მერაბოვის წიგნის მაღაზიებში. ფასი: უედოთ—ორი აბაზი, უედო—სამი აბაზი.



ქართული წიგნის მაღაზია

ისეილება ეოველ გვარი ქართული წიგნები ქ. თბილისში ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ სემინარიის ჰირდანი, ჟუალოვის სახლებში.

ლოცვანი

საჭირო და სასარგებლო ეოველ მართლ-მადი-დებულ აღმსარებელ პირთათვის, შედგენილი მდ. დ. ლამაზიძის მიერ.

ამ ლოცვით ყველას შეუძლია ისარგებლოს: რო-გორც მოსწავლეებს, ისე სხვა პირებს, დიდებს და პატარებს, ვინც კი კითხვა იცის, სამღვდელოს და საეროს.

ფასი ლოცვნისა მაგზანით და გაუმზავნულად მჟელან მამსი შაჰრი.

მშენიერ ქვამი გაეუბეული ლოცვნის ფასი არის ცხრა შაჰრი.

ლოცვნების ეიდვა შეიძლება:

მუთაისში: მთლიან და მუთაროვის წიგნის მაღა-ზიებში და პეტროვის ბიბლიოტეკაში.

თიშლისში: ჩარკვიანის და ბრიქტოროვის წიგნის მაღაზიებში.

მინც „მწყემსის“ რედაქციადი დაიბარებს ახა ნაკლებ ორმოცდა ათი ეკზემპლიარისა, მას მანეთზედ დაეთმოზა ზუთი კაპიში.

შინაარსი: ოციც ნაწილი: ტარეუდარული მი-წერილობა საქთველას საეკსარსოსოს სამღვდელოები-სადმი.—სსუდეაერო სსწაჯულებების წესდება.—შეწი-რულებანი.—არა ოციც. ნაწილი: დარეუელი მშების შესახებ.—ექსარსოსის მოგზაურობა.—ქართული საე-კლესია გავლობის შესახებ.—უოდ. სამღვდელო გაბრიელის მოგზაურობა რაჭაში.—წერალი რექატორთან.—მშერი დარეგების ნიშუში.—ღიწ წერილი.—ლექსი.—სსწა-და-სსწა აშუბი ჭ შეინაშენები.—ნარევი.—განცხადებანი.

Доз. цензурою Кутаись, 14 Октября 1885 г.

რექატორი-გამომცემელი მდ. დ. ლამაზიძე.

Скоропечатня Зединидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მსწავლემუქავე ზედინიძისა და ფერაძისა